1)

ნინო 5 დღის განმავლობაში დილის 9 საათზე ზომავდა ჰაერის ტემპერატურას. გაზომვის მონაცემები დიაგრამით არის წარმოდგენილი.



რომელ დღეს იყო ტემპერატურა 9^0– ზე მეტი, მაგრამ 15^0–ზე ნაკლები?

ა) მე-2 დღეს ბ) მე-3 დღეს გ) მე-4 დღეს დ) მე-5 დღეს

LIVEWORKSHEETS

2)

ცხრილში მოცემულია ერთ-ერთი მაღაზიის ერთი კვირის ნავაჭრი. ცხრილის მიხედვით რომელი წინადადებაა სწორი?

ნავაჭრი

დასახელება	**რაოდენობა**
კოვზი	72
თოჯინა	16
მაკრატელი	14
ბურთი	13
ლოტო	3

ა) გაყიდული სათამაშოები მეტია ვიდრე გაყიდული კოვზები

ბ) მაკრატელი უფო მეტი გაიყიდა, ვიდერე ბურთი და ლოტო ერთად

გ) გაყიდული თოჯინების რაოდენობა გაყიდული სათამაშოების ნახევარია

დ) გაყიდული ლოტოს რაოდენობა გაყიდული ბურთების მესამედია.

LIVEWORKSHEETS

3)

მოცემულია რიცხვი **135 060**. როგორ იკითხება ეს რიცხვი?

ა) ას ოცდათხუთმეტი ათას ექვსასი

ბ) ას ოცდათხუთმეტი ათას სამოცი

გ) ას ოცდათხუთმეტი ათას ექვსი

დ) ას ოცდათოთხმეტი ათას ექვსასი

4)

დაფაზე წერია რიცხვები: 1100; 2300; 3300; 4300

მოსწავლემ შეკრიბა **ორი** მათგანი და აღმოაჩინა, რომ მიღებული ჯამის უახლოესი **ათასეული 6000**-ია.

რომელი ორი რიცხვი შეკრიბა მოსწავლემ ?

პასუხი ჩაწერე ცარიელ უჯრაში:

5)

მოცემულია ორი ტოლი კვადრატი. თითოეული მათგანი დაყოფილია ტოლ ნაწილებად. შეადარე ტოლი კვადრატების რუხი ნაწილები ერთმანეთს და მათ შორის ცარიელ უჯრაში ჩაწერე საჭირო ნიშანი: „ < “, „ > “ ან „ = “ .



LIVEWORKSHEETS

6)

დაალაგე ზრდადობით:

4500 38050 97001 12500

ა) 4500 38050 97001 12500

ბ) 38050 12500 4500 97001

გ) 4500 12500 38050 97001

დ) 97001 38050 12500 4500

7)

რომელ ფიგურაშია გაფერადებული მისი **მეოთხედი**?



ა) I ბ) II გ) III დ) IV

8)

როგორი რიცხვი უნდა გამოვაკლოთ **7000**-ს, რომ მივიღოთ **2000**-ზე ნაკლები რიცხვი?

ა) 9000-ზე მეტი ბ) 5000-ზე მეტი

გ) 5000 -ზე ნაკლები დ) 9000-ზე მეტი

LIVEWORKSHEETS

9)

რიცხვი 63121 წარმოდგენილია სათანრიგო შესაკრებთა ჯამად:

$6 \cdot 10000 + 3 \cdot \square + 1 \cdot 100 + 2 \cdot 10 + 1$

რა რიცხვი უნდა ეწეროს ცარიელ უჯრაში?

ა) 0 ბ) 10 გ) 100 დ) 1000

10)

ცხრილში მოცემულია სკოლის ბიბლიოთეკაში V კლასის სასკოლო სახელმძღვანელოების რაოდენობები:

საგნის დასახელება	**სახელმძღვანელოს რაოდენობა**
ქართული	95
მათემატიკა	113
ინგლისური	75
ბუნება	125
ხელოვნება	112

შემდეგთაგან რომელ კითხვას ვერ ვუპასუხებთ ცხრილის მიხედვით:

ა) რომელი საგნის სახელმძღვანელოა ყველაზე მეტი?

ბ) რომელი საგნის სახელმძღვანელოა ყველაზე ნაკლები?

გ) რამდენი მოსწავლე იყენებს სახელმძღვანელოებს ბიბლიოთეკიდან?

დ) რამდენით მეტია მათემატიკის სახელმძღვანელო ინგლისურზე?

LIVEWORKSHEETS